ორგანიზაცია თავის ანგარიშში კონკრეტული საქმეებისაც ასახელებს. მაგალითად, 2004 წლის 9 თებერვალს კასპის პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს სპეცოპერაცია ძმების, ლე-ვან და გიორგი ბეგლარიშვილების და-საკაველად გამოცემა და ლევან ბეგ-ლარიშვილი სპეცოპერაციის დროს იმყოფებოდნენ ერთ-ერთ მიტყეხვულ ქოხში. პოლიციამ ქოხს ადგა შემოარე-ბა და ძმების ადგილზე ლოკიდირე-ბა მოახდინა. ოფიციალური ვერსიით, ძმებმა პოლიციას წინააღმდეგობა გა-უწიეს, თუმცა არსებობს საუფფლონი ვეჭო, რომ ბეგლარიშვილების ლე-ვიდაცია ყოველგვარი უკიდურესი აქციულებობის გარეშე მოხდა. ბეგ-ლარიშვილების დედამ გამოძიებას მი-მართა განცხადებით, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მისი შვილების ლი-კვიდაცია მოახდინეს არა დამნაშავე შემკერხისათვის აუცილებელი ზომე-ბის გადაცილებით, არამედ წინასწარი გაზრახვით. საქმეში არსებობს ექსპ-ერტ მიაი ნიკოლაიშვილის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ერთ-ერთი ძმისთვის ნიკაძის ქვეშ მიეცე-მული ჭრილობა განხორციელებულია ახლო მანძილიდან გასროლით, რაც ბაღებს ეჭვს, რომ პოლიციას ბეგლა-რიშვილები დაკავებულნი ჰყავდა და შემდეგ მოახდინა მათი ლიკვიდაცია. გამოითქვამ არ გამოიკვლია, რატომ ვერ იქნა ამოღებული შემთხვევის ად-გილიდან პოლიციის თანამშრომელთა მიერ გასროლილი ვაზნების ვერც ერ-თი მასრა ან ტყვია. "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები სვა-მენ კიოხეას ხომ არ მოხდა პოლიციე-ლთა მხრიდან გიორგი და ლევან ბეგ-ლარიშვილების ლიკვიდაციის შემდეგ მასრების და ტყვიების აერფვა, იმის დასაფარად, ვინ რა მიმართულებით და რამდენჯერ გაისროლა ცეცხლსას-როლი იარაღიდან და ა.შ.? ამ საქმეში არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვან დეტალი – როგორც ირკვევა, ბეგ-ლარიშვილებმა საერთოდ არ იცოდნ-ენ, რომ მათზე ძებნა იყო გამოცხადე-ბული. არც ის იცოდნენ, რამი დღეობ-დათ ბრალი. მოუხდეადად ამდენი გაუ-რკვეველი გარემოებისა, გამოითება საქმე არ აღძრა პოლიციელების წი-ნააღმდეგ. ამჟამად "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" უზენაეს სასამართლოში ითხოვს აღძრას სისხლის სამართ-ლებრივი დევნა პოლიციელების წი-ნააღმდეგ.

სასამართლო რეფორმის კრახი და სავალალო შედეგები

როგორც ცნობილია, ხელისუფლებ-ის გადანეწყობლებით, გაუქმდა რაიო-ნული სასამართლოები და ამოქმედდა ერთი საქალაქო სასამართლო სამი კო-ლეგიათი, რამაც, არასამთავრობო ორ-განიზაციის წარმომადგენელთა აზრით, გააჩინურა საქმეთა განხილვა. შედეგ-ად კი, წინასწარი პატიმრობის საკენების გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ბრალდებულები თვითონ ელოდებიან სასამართლო პროცესის დაწყებას.

და კვლავ კონკრეტული საქმე: სამო-ქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში სრული ქოხთა. ორგანიზა-ცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლს" ერთი წელია შეტანილი აქვს სარჩელი საქალაქო სასამართლოში თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ გაზიანის სამხედრო ბაზაზე ნაღმზე აყვედრებული მოქალაქე ბეკიაძე-ვლის დასაბრძოლის გამო ზიანის ანა-ზღურების მოთხოვნა. საქმე ეხება და-ვა, რომელიც კანონით, ერთი თვის ვადამი უნდა განხილულიყო, რამდენადაც თავი-ერ შინაარსიდან გამომდინარე პროირე-ტეტულია და დაზარალებულითათვის სა-ქმის დროულ გადანეწყებას პირდაპირ სა-სიციცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ზემოთ აღნიშნული რეფორმის გამო, საქ-მეზე სამი მოსამართლე "გამოიკვალა", რის გამოც დღემდე საქმე არსებობს არ განხილულა და საჯაროდ, კიდევ ორი წელიწადი დასჭირდება საქმის საბოლოო გადაწყვეტას. ასეთი უმჯობესი უარია.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ან-გარიშის თანახმად, საჯალალო მდგომარე-ობაში მრძითი დავების განხილვის კუ-თხითაც. ამ შინაარსის დავაც პროირე-ტეტულია და სასამართლომ იგი ერთ თვეში უნდა განიხილოს. ბოლო პერიოდ-ში საჯაროდ აღმტა საჯარო სამსა-ხურებიდან მოხელეთა უკანონო გათა-ვისუფლების ფაქტებმა, რაც უშუალოდ უკავშირდება ე.წ. სამინისტროების და სხვადასხვა უწყებებში განხორციელებ-ულ რეორგანიზაციებს და ლიკვიდაცი-ებს. ორგანიზაციის ადვოკატებს წარმო-ებამი აქვთ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების საქმეები შინაგან საქ-მეთა სამინისტროს, საბაჟო დეპარტამე-ნტის წინააღმდეგ, სადაც სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს საპროცესო ვადე-ბის უხეშ დარღვევებს და საქმის განხი-ლვის უსაფუფელოდ გაჭიანურებას.

ანგარიშის თანახმად, სერიოზულ პრობლემად იქცა მოქალაქეთა კომუნი-კაცია სასამართლოსთან. დადგინდა, რომ მოქალაქეს მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში შეუძლია მოსამართლის თანამშენესთან შეხვედრა, მაშინ, როცა ყოველდღიურად რამდენიმე ათეულად ად-ამიანს ესაჭიროება საქმესთან დაკავში-რებული საჭირო ინფორმაციის დროუ-ლად მიღება. მოქალაქებს თუ ადვოკა-ტებს საათობით უწევთ ლოდინი თანა-შენშეგებათ შესაფერადად, თუმცა, ხშირ

შემთხვევაში, მოსამართლის თანაშემ-ნელები კი არ ხდებიან მოქალაქეებს და პრაქტიკანტ სტუდენტებს ზაფინაშ შე-ხვედრებზე. ყოველწე ამით, ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მოსალოდნელი საპროცესო ცვლილებები

ცნობილია, რომ 2006 წლის იანვ-რიდან საპროცესო კანონმდებლობაში მოსალოდნელია ცვლილება, რომელ-იც შეეხება სააპელაციო სასამართ-ლოში საქმეთა განხილვას ერთი მოსა-მართლის მიერ, ნაცვლად სამი მოსა-მართლისაგან შემდგარი კოლეგიური შემადგენლობისა. იუსტიციის საბჭოს განმარტებით, ამ პროცედურით საქ-მეთა განხილვა გადამატებულია სასამა-რთლო რეფორმით და მისგან გამომ-დინარე, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რო-დუნობით. "კონსტიტუციის 42-ე მუხ-ლის" ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ამ ცვლილების განხორციელება სერიო-ზულად დაარღვევს ევროპის კონვენ-ციის მე-6 მუხლით დაცულ უფლებე-ბებს. კერძოდ, სააპელაციო ინსტანცია, პრაქტიკულად, მიიღებს პირველი ინ-სტანციის სასამართლოს ფუნქციას.

რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები

რევოლუციის შემდეგ ხელისუფლე-ბა საკანონმდებლო ცვლილებებს კო-ლოსალური რაოდენობით და დაჩქარე-ბული ტემპით იღებს. სამწუხაროდ, ცვლილებების უმრავლესობა რეპრესი-ული უფროა, ვიდრე დემოკრატიული, - ნათქვამია "კონსტიტუციის 42-ე მუხლ-ის" მიერ შედგენილ ანგარიშში.

საპროცესო შეთანხმება

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ად-ვოკატების აზრით, საპროცესო შეთანხ-მების ინსტიტუტი ეწინააღმდეგება საბა-რთილიანობის, ადამიანის ხელშეუხებლო-ბის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს. საპროცესო შეთანხმებით არ არის დაცული დაზარალებულის, ბრა-ვლედულის და საზოგადოების ინტერე-სები. საპროცესო შეთანხმება ხელსაყრე-ლია დამნაშავესთვის, რომელმაც ჩაიღ-ეს და დაწინაურდა თანხის საფასურად თა-ვი დააღწია მართლსაწვლუბს. იგი სა-ზოგადოებისთვის კვლავ საშიშ ელემენ-ტი და ეცდება, უფრო დიდი დანაშაუ-ლი ჩაიდინოს, რათა აინაზღუროს პროკუ-რატურისათვის განეული დანახარჯები.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლს" ანეა-რამში მოჰყავს საპროცესო შეთანხმე-ბის შედეგები:

ა) სამართალდამცავი ორგანოები ვითარდებიან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ თანხებით, რომელსაც და-წმამდე ისევ საზოგადოებისაგან ინა-ზღურებს;

ბ) საკუთარი უდანაშაულობის დამ-ტკიცებას წლიობით ლოდინი სჭირდება. საპატიმრო დაწესებულებების საშინელ პირობებში მყოფი ბრალდებულნი კი მი-დის ყველანაირ შეთანხმებაზე, ოღონდ არ გახდეს არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლი.

ქონების ჩამორთმევის პროცედურა

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თა-რისაგან, პროცედურას, რომელსაც ხე-ლისუფლება უკანონო და დაუსაბუ-თებელი ქონების ჩამოსართმევად იყ-რება, არის ყოველგვარ სამართლებ-რივ საფუძვლზე მოკლებული. მათ სა-მართლოდ წონისდად მიაჩნიათ და, რომ პირმა უნდა დაედატუროს თავი-ერ ქონების წარმომადგენლისა და კა-ნონიერების საკითხი, ანუ მტკიცების ტვირთი არა ბრალდებულზე, არამედ ბრალდებულზე გადადის. ახალი პრო-ცეკტით, ქონების ჩამორთმევა სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი პუ-ნქტით ხდება. რაც ნიშნავს, რომ ქონებ-ის ჩამორთმევისას ექვემდებ დგება და-ზარალებულის უფლების რეალიზება, აინაზღუროს დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანი.

პატიმართა სიცოცხლის უფლება

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალზედ გაზიარდა პატიმრების მიერ პა-ტიმრებისგე მკვლელობის შემთხვევები; "კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" მიმართა იუსტიციის სამინისტროს თხოვნით, რომ ორგანიზაციისთვის მიწოდებინა ოფიციალური სტატისტიკა პატიმართა გარდაცვალების შესახებ. თუმცა, ოფი-ციალური სტატისტიკა გასაღებდლე-ბული დარჩა. არასამთავრობო ორგანი-ზაციის ინფორმაციით, სასიკვდილო ზემოქმედების შედეგად 2005 წლის 8 თვეში 13 პატიმარი გარდაიცვალა. ამას-თვანივე, საგრძნობლად იმატა პატიმარ-თა თვითმკვლელობების რიცხვმა. როგ-ორც ირკვევა, თვითმკვლელობა უმრავ-ლესობას კონფლიქტი ჰქონდა როგორც ციხის ადმინისტრაციასთან, ასევე სხვა პატიმრებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი თვითმკვლელობა განსაკუთრებ-ულად საეჭვო ვითარებით ხდება. გახში-რდა პატიმართა ავადმყოფობის გამო გარდაცვალების შემთხვევებიც. იუსტი-ციის სამინისტროს მონაცემებით, 2005 წლის 6 თვეში ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა 15 პატიმარი.

არაადამიანური პირობები სასტელასრულების დაწესებულებებში

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ან-გარიშში ნათქვამია, რომ ციხეებში სა-კ-ნების გადატვირთულობის გამო პატიმ-

რებს უწევთ მორიგეობით ძილი, არ არ-სებობს ნორმალური კვება და სამედი-ცინო მომსახურება. თავად პატიმრები იძულებულნი არიან მიმართონ პროტე-სტის სხვადასხვა ფორმას - შიმშილობ-ას, პირის ამოკერვას, მიღწერსმეგას და სხვა ფორმებს, რაც ძირითადად გამოწ-ვეულია ადმინისტრაციის უკანონო ქმე-დებებითა და პატიმრების მიმართ არაა-დამიანური მოპყრობით.

ანგარიში დასახლებულია კონკ-რეტული ფაქტიც: სასჯელაღსრულებ-ის N5 საპყრობილეში მყოფმა პატიმარ-მა მუხრან კობახიძემ რამდენჯერმე სცადა თვითდაზიანება მხოლოდ იმიტ-ომ, რომ მიეცათ საპყრობილის ადმი-ნისტრაციის ყურადღება. კობახიძემ თავდაპირველად სცადა თითის ძილი, შემდეგ იძულებული გახდა, საკმეზე და-ეკლურსნა თავი. პროტესტის უკიდურეს ზომებს კი სასამართლო პროცესის წინ მიმართა - ბრძოლთ თითი მოიჭრა. პატიმრის პროტესტი გამოიწვია მისი სა-ქმისათვის თბილისის საქალაქო სასამა-რთლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გია ფურცე-ლასის გულგრილად დამოკიდებულებ-ამ, რომელმაც არ დაეკმაყოფილა დაც-ვის მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი უამდგომლობა და განსაზღვლ-ს წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მოსაჯეა მკაცრი რეგიმის სას-ჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოხდითი. კობახიძეს ედავებოდნენ, რომ მან მოიპარა კომპიუტერი თავისი ატ-რიბულებისათვის. დაცვამ დააყენა შუამდ-გომლობა, რომ ჩატარებულიყო საგა-მოძიებო ექსპერმენტი, თუ მოახერხე-ბდა ერთი ადამიანი ამ მოცულობაზე და ნონაღობის ნივთების ანეგას და მე-7 სასთოლდან დაცვას უარი უთხრა. მართ-ლმსაჯულებამ არ გამოიკვლია დატყე-ბის კომპიუტერი და ტრასლოგიური ექს-პერტის დასკვნები, რომლებიც ნათ-ქვამია, რომ დანაშაულის ადგილზე ნა-პოვნი თითისა და ფეხის კვალი არ შეე-საბამება მუხრან კობახიძის კვალს. ას-ევე არ დაეკმაყოფილა შუამდგომლობა დამატებითი მონშეების დატოვებაზე, რომელიც ადისტურებდა კობახიძის აღმის.

დაბოლოს, მართალია, "კონსტი-ტუციის 42-ე მუხლის" მიერ გამოქვეყ-ნებული ანგარიშში ძირითადად ის ფა-ქტებია დასახლებული, რომლებშიც აც უშუალოდ ამ ორგანიზაციის ადვო-კატებს ჰქონდათ შეხება და იმ მოსაზ-რებებს შეიცავს, რომლებიც დღეს სა-ქართველოში მეტად გავრცელებული გახლათ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ან-გარიშით თითქმის სრულად ასახავს სა-ქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის, უფრო სწორად - დარღვევის თვალსაზრისით არსებულ მდგომარე-ობას, რომლის გამოსწორებაზე ზრუნ-ვა საზოგადოების ხელისუფლების უმ-თავრესი საფერალი უნდა იყოს.

ოსაზგა გატაცებული ქართველების ცხადრების დაზრუნავის პირობა დადეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერ დაკავებული ოთხი პირის საქართველოს შს მაღალჩინოსნებთან კავშირს. ქართველ სამართალდამცველებს ამგვარი განცხადების გაკეთება კოკითის კომენტარის გამო მოუხდათ.

დანაშაულები ეჭვმიტანილი ოთხი პიროვნება ოსმა სამართალდამცვე-ლებმა 12 დეკემბერს, დღითი აიყვან-ეს. მათი დაკავების შემდეგ, გვიან და-მით კი, ეფუარდ კოკითმა გაავრცე-ლა განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პირები (რომელთა გვარე-ბიც არ კონკრეტდება), იმხილებიან სხვადასხვა დანაშაულები, მათ შორის ავტომანქანების გატაცებაში. კოკი-თის მტკიცებით, დანაშაულებს კავში-რი ჰქონდათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენ-ლებთან. აღნიშნული "ბრალდებნი" გასამტკიცებლად ე.წ. სამხრეთ ოსეთ-ის პრეზიდენტს კონკრეტული ფაქტე-ბის დასახელება არც უცდია.

აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის დაკავების მოტივზე კი იმთა-ვითვე საკუთარი ვერსია გაავრცელა გატაცებული ჰამლეტ ხაჭაპურისძის მძამ ლევან ხაჭაპურიძემაც. მისი მტკიცებით, ოსურმა მხარემ აიყვანა ის ოთხი ოსი პიროვნება, რომლებიც მისი ძმისა და დანარჩენი სამი ქარი-ველის გატაცებაში მონაწილეობდნენ. თავდაპირველად აღნიშნული ინფორ-მაცია არც დე ფაქტო სამხრეთ ოსეთ-ის ხელისუფლების წარმომადგენლე-ბს და არც ქართულ მხარეს არ დაუ-დასტურებია.

სამგაიროდ, გუშინ სეპარატის-ტული ცხინვალის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის და შერეული სა-როკროლო კომისიის ოსური მხარის თანათავმჯდომარის ბორის ჩორჩიეს ინიციატივით, მოკლული მძევლების - ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ნათე-სავენი სეპარატისტთა ლიდერს დუ-არდ კოკითის შეხედნენ. შეხვედრაზე

საქართველების ცხადრები ქრისტი-ნული წეს-ჩვეულების დაცვით მათ ნათესავეს გადაეცემა, - განაცხა-და ბორის ჩორჩიესმა.

კოკითთან შეხვედრის შემდეგ ხაჭაპურიძეებმა და სოფელ ქუთრის მოსახლეობამ ტრანსკავასიური საა-ვტომობილო მაგისტრალის ცხინვა-ლი-ჯავის მონაკვეთი გახსნეს, რომე-ლიც დაბოცილი მძევლების ნათესავე-ბმა 5 დეკემბერს გადაკეტეს. პროტეს-ტის მიზეზი, ცხედრების გადმოცემის-თვის დაწესებული ასი ათასი დოლარი იყო.

როგორც ცნობილია, ჰამლეტ, გა-ლაკტიონ, გიორგი ხაჭაპურიძეები და მამუკა ლომიძე 6 ივნისს გაიტაცეს, როცა ისინი ქალაქ ცხინვალში ავტო-მანქანის შესასყიდად იყვნენ ჩასული. ქართველები ავტომანქანის შესყიდ-ვის თაობაზე გარკვევის დადების შემ-დეგ გაუჩინარდნენ.

24 საათი

მოკლად

მოსკოვში ქართველების მკვლელობების სერია გრძელდება

მოსკოვში გუშინწინ, გვიან ღამით, კიდევ ერთი ქართველი ბუნესმენი, რესტორან "კოლხიდის კი დეორ"-ის მფლობელი მ. კვამლავა მოკლეს. როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მოსკოვის პროკურატუ-რის ინფორმაციით, კვამლავა 1963 წელს არის დაბადებული. მას თავისა და მხარის არმი ცეცხლსარელო იარაღიდან სამი ჭრილობა აქვს მიყენებული, რის გამოც იგი ადგილზე-ვე გამოცხადდა. მკვლელობა გერჯიკობით დატვირთული არ არის. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. რუს სასამართალმცველების განცხადებით, 13 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის, პეტერბურგის ცენტრში თემურ კაჭარავას 17-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ჯგუფი დაესხა თავს. კაჭარავა კიორის არმი დანით მიეჩვენა მრავლობითი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა. 5 დეკემბერს რუსმა სამართალდამ-ცავმა ორგანიზებმა საეკ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ თემურ კაჭარავას მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს. სამართალდამცველი ორგანოების მოწახმებებით, კაჭარავაზე თავდასხმები სულ 11-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. და-კავებულთაგან თოხმა თავდასხმამი მონაწილეთა აღიარა. ინტერპრესნოსი

ფინანსური პოლიციის და ბაზრის მოვაჭრეების მორიგეი შერკინება

ფინანსური პოლიციის სამგერლო-ზემო სავნეთისა და გურის თანამშრომელთა რუდი სენკას ბაზარში მოვაჭრეებთან შეტაკებით დასრულდა. ალურცხავი საქონე-ლის და უაქციხო სიგარეტის ამოღების მიზნით, საკოლმერნეო ბაზრის მესულ ფი-ნანსური პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა მოუგერებდა, ძირითადად ქალე-ბმა გაუჩნეს. მათ არ მოსცეს თანამშრომლები იმ მაღაზიების დასვლას საშუალება, სადაც ალურცხავი საქონელი ადამიანებს. მოვაჭრეების განცხადებით, ამის შემდეგ, ფინანსურმა პოლიციამ სპეცდანიშნულების რაზმი გამოიძახა და "შეიარაღებული ნი-ღბიანები მოვაჭრეებს დაიკრუნეს". ფაქტობრივად პირების შედეგად, რამდენიმე მოვაჭრე ქალი დაზარალდა და ისინი საავადმყოფოში გადაყვანეს.როგორც მოვაჭრე-ები აცხადებენ, მათ სპეცრაზნებლები სცემდნენ ნიხილებით და კონდახებით. მათივე თქმით, ასეთი შემთხვევა სენაკში "შედიდრინი" თარეშის შემდეგ არ ყოფილა. ფინან-სური პოლიციის სამგერლო-ზემო სავნეთისა და გურის განყოფილების უფროსის გი-ორგი გუგუნიას განცხადებით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს თავიანთი მი-ვალეობის შესრულებამი მოვაჭრე ქალებმა ხელი უშუშლეს და არ მისცეს საშუალება ალურცხავი საქონელი ამოღეთ. აქედან გამომდინარე, ფინანსურმა პოლიციამ დახ-მარებისთვის სპეცდანიშნულების რაზმს მიმართა. ინტერპრესნოსი

დანაშაულში ეჭვმიტანილებისთვის წინასწარი დაკავების იზოლაციორები გააგრემონტეს

თბილისის პოლიციის ახალი სამმართველოს ახლადგარემონტებული წინასწარი დაკავების იზოლაციორი გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოინა-ზულა.

როგორც მერაბიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განცხადა, იგი დადებითად აფასებს იმ მოვლენას, რომ წინასწარი დაკავების 14 საკანი გარემონტდა, თუმცა მინი-სტრი ამადგროულად კრიმინალეს ურყევს, რომ იზოლაციორში მინც არ არის კომფო-რტული სიტუაცია. მერაბიშვილის განცხადებით, აღნიშნული იზოლაციორის საკნების გარემონტებისთვის საჭირო ხარჯები შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ნაწახაღისებელი და პრეიების თანხების ფონდიდან გამოიყო. გუშინვე წინასწარი და-კავების იზოლაციორი მოინაზულა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარამ. მას თითოულ საკანში გამოჩრა პლაკატები, რომელზეც მითითებულია სახალხო დამცველის აპარა-ტის ცხელი ხაზი, რომელზეც პატიმრებს ნებისმიერი კანონდარდების შემთხვევაში დაკავებურმა და დახმარების თხოვნა შეეძლება. სახალხო დამცველ დადგენილია აფ-ასებს წინასწარი დაკავების იზოლაციორის გარემონტებას. სოზარ სუბარის განცხადე-ბით, მიმდინარე წელს, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში მდებარე წინასწარი დაკავების იზოლაციორიდან პატიმართა ცემა-წამების ფაქტები არ დეფი-ქსირებულა. ახლადგარემონტებული იზოლაციორი მოინაზულეს საქართველოში არსე-ბული უცხო ქვეყნების საკლერები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგე-რელებმა. ინტერპრესნოსი

"Programme of Assistance for the Prevention of Drug Abuse and Drug Trafficking in the Southern Caucasus (SCAD Programme). This Programme is funded by the European Union"

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა

სატენდრო განცხადება

სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამაზე ევროგე-რითანების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ამოიცე-ლებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). ამ პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენ



დავით კოვზირიძის სკეტი

მსოფლიო პასაჟი

ჰაიდი კლუმი ფეხბურთის აზრზე არაა და საერთოდ, ეს რა კენჭისყრა იყო, დაიწვილა ქართველობის ერთმა ნაწილმა. უკვე ჩვევაში გადაგვივიდა - არ არსებობს მოვლენა, საგანი, ქალი და კაცი, ყველა ქართველს ერთნაირად მოსწონდეს, ან არ მოსწონდეს. ყველაფერზე ვკამათობთ, ყველაფერში ნაკლს ვეძებთ. აგერ, მზეთუნახავ ჰაიდისაც ვუპოვეთ დარღვევა, სოკერში ჩაუხედაობა. ეს რომ სცოდნოდა, მაშინ იმას ვიტყვოდი, რომ საცივი გამოსდის ოდნავ მარილიანი... არ ვიცი, რა ეშველება ბოლმის ამხელა პროცენტს. ან კიდევ გერმანელებს რა უნდა ექნათ მეტი: ბურთი ალაპარაკეს და სოკერზე ისეთი კლიპი ჩაგვახუტეს, ღამის თორმეტ საათზე ეზოში გაგვბოდი სათამაშოდ და ძლივს დამავაყეს.

თუმცა შოუმ მალე ჩაიწორა და გუნდებიც ჯგუფებში ჩაინიკნდნენ. ზუსტად ამაზე მიიდა შეგჩერდე და თქვენთან ერთად გადავავლო თვალი დახარისხებულ ბომონდს.

A ჯგუფი. საეჭოდ მსუბუქი. ყოველთვის ასე ხდება - მასპინძელს ჯგუფის პარტნიორები უმართლებს და იწყება ლაპარაკი, რომ ეს შემთხვევითი არაა. ისე, თუ გერმანელთა დღევანდელ ფორმას კარგად ჩაუკვირდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ მთლად სასიამოვნო მეტოქეები არ ჰყავთ: პოლონეთი პოსტსოციალურ ტერიტორიაზე უღონიერესია, ეკვადორს დაცვა უყვარს მაგრად და კარგადაც გამოსდის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ხოლო კოსტა-რიკა ხშირად მონანილეობს ამ ტურნირში და უკვე გამინაშურებულია.

B ჯგუფი. ოსში სამი. სანაყლი ტრინიდადლები მაგარ გაუგებრობაში მოყვნენ და შანსი არაა, რაიმე სერიოზულზე იფიქრონ. აქ მთავარი ისაა, როგორ დაინაწილებს დანარჩენი სამეული ქულებს. მე მაინც ბრიტანულ-სკანდინავიურ დუეტს ვანვები, რადგან მგონია, რომ პარაგვაი სადღაც გატყდება. შეიძლება ტობაგოელებთანაც დაკარგონ ქულები და ამით დაილუპონ თავი. რაც შეეხებათ ინგლისელებს, მათ ასეთი კარგი ნაკრები, ალბათ, არასდროს ჰყოლიათ.

C ჯგუფი. საცობი. არგენტინაზე შეეგარებულმა ჩემმა მეგობარმა კენჭისყრამდე სამი დღით ადრე ფურცელზე ისტორიული ჩანაწერი გააკეთა: არგენტინა, ჰოლანდია, კოტ დივუარი, სერბეთი! საოცარი წინათგრძნობა გქონია, ჩემო გოგი, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ უსიამოვნო პროგნოზებში გიმართლებს. გავა არგენტინა? მგონი გავა, რადგან ზედიზედ მეორე უარგენტინო მერვედფინალი ზედმეტი იქნება, მსოფლიოს ჩემპიონატი შედამს დაკარგავს. ჰოლანდიაც უნდა გაძვრეს, მაგრამ სიტყვა და ცნება "უნდა" ამ შემთხვევაში ძალას კარგავს. ასეთი ოთხეული, ერთი მაინც, ყოველთვისაა ჩემპიონატზე და მასში თითქმის ყოველთვის სასწაულები ხდება. ვის გადაცალაპავს სასწაული ამჯერად, ისეთივე ძნელი სათქმელია, როგორც ის, თუ რას ერჩის მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ჯეობარს.

D ჯგუფი. პროლეტარიატი. ერთი შეხედვით არაფერია ტეინსაჟყლუტი, მექსიკისა და პორტუგალიის კონტურები ძალიან მკვეთრად ჩანს. მაგრამ ანგოლის არაფერი ვიცი და ამიტომ იმასაც ვერ ვიტყვი, მოუშლის თუ არა ნერვებს ვინმეს.

E ჯგუფი. უფრო ხარისხიანი პროლეტარიატი. კატენარი, დაბერებული ჩეხეთი, ზედაპირული იანკები და განა, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად გავა მერვედფინალში. შეიძლება პირველ ადგილზეც ამოყოს თავი, რადგან იტალია ტრადიციულად მძიმედ დაიწყებს.

F ჯგუფი. ბრაზილია და ისინი. მთელი მსოფლიო ერთხმად გაიძახის, რომ ამ ტურნირს არასდროს ჰყოლია ასეთი გამორჩეული ფავორიტი, ხოლო ბრაზილიას ასეთი ზღაპრული შემადგენლობა. ამიტომ არა მარტო ამ ჯგუფს, მთლიანად ჩემპიონატს შეიძლება დავარქვათ "ბრაზილია და ისინი." დანარჩენი სამი ნაკრები დაახლოებით ერთი ხარისხისაა - ავსტრალიელებს ბრძენი მასწავლებელი ჰყავთ, ხორვატებს - ერთი დონის, ბრწყინვალედ დაბალანსებული და ტრადიციულად ჯიგრაინი გუნდი, იაპონია კი არის ის, რაც ყოველთვისაა. მე მაინც ხორვატებს ვანვები.

G ჯგუფი. გაუგებრობა. ფრანგები აშკარა ფავორიტები არიან და სულ სერიოზო-სერიოზობით გავლენ შემდეგ ეტაპზე, თუ შევიცარიათ დღევანდელი ფორმა და შემართება დაკარგა. კორეა ის ნაღად არ იქნება, რაც სამი წლის წინ იყო სახლში გუს ჰიდინკის დახმარებით და ზოგ-ზოგიერთა მფარველობით. ტოგოზე რაიმეს თქმა ძნელია. ერთი ის ვიცი, რომ რაგბის ნორმალურად უბერავენ.

H ჯგუფი. ნარინჯისფერი რეგულაცია გრძელდება. ჩვენს ახლად დამოხილვებულ ქვეყანას ისე გაუმართლა სადებიუტო გამოფენაში, რომ ოლეგ ბლოხინი ბადრ მთვარეს დაემსგავსა. ერთი გამოუცდლობა თუ შეაფერხებს უკრაინელებს, თორემ სხვა უზერულობა არაფერი მოჩანს ნარინჯისფერ გზაზე. და თუ ისე მოხდა, რომ ჩვენი რეგულაციური ძმები ჯგუფში პირველზე გავიდნენ, რაც ესპანელებისგან სულაც არაა გასაკვირი, მაშინ დებიუტანტებს მეოთხედფინალშიც უნდა ველოდოთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ ანდრიუხას სანაკრებო ამბავშიც ეძლევა თავის გამოჩენის საშუალება - ბევრი მისნაირი დიადი ყოფილა მოკლებული ამ სიამოვნებას.

მომავალ შეხვედრამდე

თხილრისაღმა „კალაზნიკოვა“ ფლორიდაში გაიხსოვლა

ოქსანა კალაზნიკოვა ქართული საოგბურთო სკოლის ერთ-ერთი იმედისმომცემი ჩოგბურთელია. იმედი მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც თბილისელმა გოგონამ ბისკენში (ფლორიდის შტატი) არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად წოდებული "ორინჯ ბოულის" 16 წლამდელთა

59-ე გათამაშება მოიგო. ნახევარ-ფინალში მან ტურნირის პირველ ნომრად განთესილი მასპინძელი, ბოლტიერის აკადემიის აღსაზრდელი დაამარცხა. მას შემდეგ კი, რაც სამიშ მეტოქეს სძლია, ფინალში რუმინელი მარია-ლუიზა კრამანი დაამარცხა - 6:4, 6:2. "ორინჯ ბოულს" საკმაოდ მდი-

დარი ტრადიცია აქვს (ამაზე კალაზნიკოვას მიერ მოგებული ტურნირის რიგითობაც მიუთითებს). დღეს თუ ვინმე რამეს წარმოადგენს საოგბურთო სამყაროში, ყველას "ორინჯ ბოული" აქვს მოგებული. ოქსანასთვის "ორინჯ ბოული" ერთადერთი ტურნირი არ არის, რომელზეც მან წლებს თავი გა-

მოიჩინა. მანამდე დუბაის ტურნირზე ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო წყვილებში თავის დასთან - მარიასთან ერთად გაიმარჯვა. დღეს ოქსანა თანატოლთა (ის 1990 წელსაა დაბადებული) რეიტინგში 523-ე ჩოგანია. კალაზნიკოვები, ისევე როგორც ნათი გეგია, ნოდარ ითონიშვილი, მა-

გდა ოქრუაშვილი, ანა მჭედლიანი, თათია მიქაძე, სალომე ჩახუნაშვილი, გიორგი ხშიადაშვილი და თინათინ ყაველაშვილი, არიზონის შტატში TMI-ს საოგბურთო სკოლაში იწრებოდნენ. ოქსანა კალაზნიკოვამდე "ორინჯ ბოულზე" სხვა ქართველმა ჩოგბურთელმა - ნინო ლუარსაბიშვილმაც იყრილა.

პელაზ ბრაზილია, იტალია, ინგლისი ინინასნარმეცხველა

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ პელემ ტრადიციას არ უღალატა და საგაიოს საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატისთვის საკუთარი პროგნოზი ამცნო ფეხბურთის გულშემატკივრებს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სანუკუარი ჯილდოს დაუფლებებში ბრაზილიას, პირველ ყოვლისა, კვლავაც ხელს შეუშლიან იტალიისა და ინგლისის ნაკრებები.

"ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი საფეხბურთო მატჩი ვნახე, რომლის მიხედვითაც თვალმისაცემია ინგლისის ნაკრების მომძლავრება, - ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს 65 წლის ბრაზილიელი, - იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიის, იტალიისა და ინგლისის ნაკრებთა ლიდერები მანამდე ტრავმებს არ მიიღებენ, ვფიქრობ, ფინალში ამ სამეულდინ ერთ-ერთი ითამაშებს. და მაინც, თუ მკითხავენ, ამათგან რომელი მოიგებსო, მე ჩემი ქვეყნის ნაკრებს დავასახელებ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში მაღალი კლასის ფეხბურთელები შეგროვდნენ. საქმე ისაა, რომ ბრაზილიის ნაკრებში თითოეულ პოზიციაზე ორი უძლიერესი მოთამაშე გვყავს".



ბეკენბაუერის გერმანია პელეს ფავორიტებში არ ფიგურირებს.

კითხვაზე, შეძლებს თუ არა ინგლისი ბრაზილიის დამარცხებას, პელე პასუხობს: "რა თქმა უნ-

და, მათ ეს შეუძლიათ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ეს ძალიან ძნელი იქნება. ერთმანეთში

ორი მატჩის საშუალება რომ ჰქონოდათ, სხვა საკითხი იქნებოდა, მაგრამ განა მეოთხედფინალი,

კალათბურთი

"ქორეზმა" კლანჭები გამოაჩინეს!

ბაჰაჰა ხოშბარი

აი, თურმე რას ელოდნენ "ატლანტას" კალათბურთელები! ჯერჯერობით რეგულარულის ყველაზე დიდი სენსაცია: უპირობო აუტსაიდერმა, ზაზა ფაჩულას "ატლანტა ჰოუქსმა" წინა წლის ტრიუმფატორის "სან-ანტონიოს" ნა-ანტონიოს ნაუგებელი სერია შეწყვიტა.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გუნდის ამ წარმატებამ უდიდესი წვლილი დაუწყო მატჩთან. მან "ქორეზმა" (ასე ითარგმნება ქართულად "ჰოუქსი") რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ზაზამ 32 წუთში: 19 ქულას, 13 მოხსნას და 2 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი. რაც მთავარია, ქართველმა ნა-ანტონიოს ნაუგებელი სერია შეწყვიტა.

დანკანს შედეგიანი თამაშის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფარზე ჩვეულო ბატონობის საშუალება არ მისცა, ხოლო უშუალოდ მის ვიზაგის რაში ნისტროვიჩს საერთოდ ბურთი არ ჩაუვდია. ასევე აღსანიშნავია ახალგაზრდა ჯომ ჩაილერის თამაში, რომელმაც თავისი 13 ქულიდან 11 ბოლო მეოთხედში მიითვალა და მნიშვნელოვნად განაპირობა გუნდის წარმატება.

ამ მოგებამ წესით "ქორეზს" საკუთარი თავის რწმენა უნდა დაუბრუნოს და იმედია ფლეი-ოფში გასასვლელადაც იბრძოლებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მიზანი ძალიან ძნელი მისაღწევი იქნება.

ნიკა ციტიშვილი დიდი ხნის წინასამატრო განაცხადში მოხვდა, თუმცა, მოედანზე არ გასულა. ქართველის გუნდმა "ლოს-ანჯე-

ლეს ლეიკერსს" სძლია: 95:82. ციტიშვილი ალბათ მალე გუნდს შეიცვლის. ახლანდელი მდგომარეობით ნიკა, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ არის. თითქმის ნახევარი სეზონი გავიდა, მას კი ჯერჯერობით თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემია. სავარაუდოა, უახლოეს მომავალში ციტიშვილს გუნდის ხელმძღვანელობას ტრანსფერზე დაყენების თხოვნით მიმართოს.

Call Center

ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული

Tel:(995 32) 24 45 98

www.cc.ge

იპილა

აბესალომ ვეკუა

დავით ლორთქიფანიძე

გამოჩენილი ქართველი პალეონტოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აბესალომ ვეკუა 80 წლის შესრულდა. ასაკი პირობითი ცნებაა, განსაკუთრებით, პალეონტოლოგიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი აბესალომი ენერგიით აღსავსე მეცნიერია, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება დღევანდელი ცხოვრების რიტმს.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი აბესალომ ვეკუა ნამარხ ხერხემლიანთა საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარია. იგი 1956 წლიდან მუშაობს პალეობიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც 1966-69 და 1978-1966 წლებში პალეონტოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა. 1980 წლიდან ა. ვეკუას საქართველოს ტერიტორიული საზოგადოების პრეზიდენტი, 1981 წლიდან სპელეოლოგთა ეროვნული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1987 წლიდან - საქართველოს მეოთხედი პერიოდის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე. 1985-90 წწ. იგი იყო მოსკოვის პალეონტოლოგიური ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებისა და გეოლოგიური ინსტიტუტების ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრია. 2001 წ. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2004 წ. ბატონი აბესალომს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იგი არჩეულია ფოთის საპატრიოტულაქედ და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი აბესალომი 180-მდე მეცნიერული ნაშრომისა და რვა მონოგრაფიის ავტორია. მონოგრაფიებს შორის უნდა აღინიშნოს:



"ახალქალაქის ქვედაპლესტოცენური ძუძუმწოვრების ფაუნა" (1962წ.) და მოსკოვში დაბეჭდილი მონოგრაფია "ქვაბების აღჩაგებული ხერხემლიანების ფაუნა" (1972წ.), რომელშიც მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს პალეობიოლოგიური სურათის აღდგენის ცდა.

საყურადღებოა ცუცხვათის მღვიმეონის კომპლექსურ შესწავლასთან დაკავშირებით 1978წ. გამოქვეყნებული კოლექტიური მონოგრაფია, სადაც ა. ვეკუას ეკუთვნის გამოკვლევა ცუცხვათის ქვის ხანის ძუძუმწოვრებისა და საკულტო მღვიმის შესახებ. 1981წ. ა. ვეკუა ნ. ნურჩაქაბრაძის თანაავტორობით აქვეყნებს მონოგრაფიას "კავკასიის

გვიანკაინოზოური ძროხების პალეობიოლოგიური ისტორია", რომელშიც გამოთქმულია დამაჯერებელი მოსაზრება ბიზონების წარმოშობის სავარაუდო ცენტრის შესახებ.

1987წ. იტალიაში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ა. ვეკუას მონოგრაფია "ახალქალაქის ქვედაპლესტოცენური ძუძუმწოვრები".

დიდა ა. ვეკუას დამსახურება საქართველოსა და იუგოსლავიის მეოთხედი ფაუნების კვლევის დარგში, ამ ფაუნათა შეპირისპირებისა და პალეოეკოლოგიური პირობების აღდგენის საქმეში. ა. ვეკუამ ლ. გაბუნიასთან ერთად გამოიკვლია სამხრეთის სილიის მსოფლიოში ყველაზე სრული ჩო-

ნჩხი, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია ექსპონირებული.

ბატონი აბესალომის შრომები გამოქვეყნებულია ამერიკის, ინგლისის, ესპანეთის, რუსეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერულ გამოცემებში, მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ისეთ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორებიცაა: Nature და Science.

მას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საქართველოს პლესტოცენური ძუძუმწოვრების კვლევის საქმეში. ა. ვეკუას მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია მეცნიერებისთვის მანამდე უცნობი ცხოველების რიგი წარმომადგენლები. სრულიად განსაკუთრებულია მისი წვლილი საყოველთაოდ აღიარებული დმანისის ფაუნისა და ჰომინიდების შესწავლის საქმეში.

"1983 წელს დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების ირმობეში ნაპოვნ ძვლებში პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ მარტორტის კბილს მიაკვლია, რომელმაც, სხვა ნამარხებთან ერთად, მას საშუალება მისცა განესაზღვრა დმანისის ქვედა პრეების გეოლოგიური ასაკი - ადრე პლეისტოცენი, - ეს ფრაზა ადამიანის პალეონტოლოგიის მრავალ სახელმძღვანელოშია შესული. ამ ფაქტმა სათავე დაუდო დმანისის აღმოჩენებს. დღეს უკვე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ დმანისში ნაპოვნი ადამიანისა და ცხოველთა განამარხებული ნაშთები და ქვის იარაღები დაახლოებით 1,75 მილიონი წლით თარიღდება. ამ აღმოჩენებმა თავდაყირა დააყენა მყარად დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების პირველი განსახლების შესახებ და ევრაზიის კოლონიზაციის თარიღი ასობით ათასი წლით უკან გადასწია.

დღეს ხშირად ვხმარობთ ინგლისურ გამოთქმას "სელფ მეიდ მენ", ანუ ადამიანი, ვინც თვითონ შექმნა საკუთარი ცხოვრება. გადუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი აბესალომი სრულად შეესაბამება ამ განსაზღვრებას:

სამამულო ომის მონაწილე, გვიან იწყებს სწავლას უნივერსიტეტში, მაგრამ ძალიან სწრაფად ინახალებს გაცდენილ წლებს. სტუდენტობის წლებში აკადემიკოსს ლეო გაბუნიასთან შეხვედრამ განსაზღვრა აბესალომ ვეკუას მომავალი. იმ წლებიდან იგი მის ერთგულ თანამებრძოლად დარჩა ბატონი ლეოს სიცოცხლის ბოლომდე.

მე ქონდა ბედნიერება, მონაწილეობა მიმეღო მათთან ერთობლივ კვლევაში ჰომინიდების ახალი სახეობის - ჰომო გეორგიკუსის გამოყოფისა და მომესმინა ბატონი ლეოს მაღალი შეფასება აბესალომ ვეკუას შესახებ. ბატონი ლეო, ისევე როგორც ბევრი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი პალეონტოლოგი, აღიარებდა ბატონი აბესალომის საოცრად მახვილ თვალსა და ანატომიის საუცხოო ცოდნას. ამიტომაცაა, რომ გადამეხვეულ ცხოველთა მრავალი ახალი სახეობა სწორედ მის მიერაა გამოყოფილი.

არსებობს პალეონტოლოგთა ორი ტიპი: ერთნი ლაბორატორიებში ელოდებიან გასუფთავებულ ძვლოვან მასალას და შემდეგ ინვესტირებენ მეცნიერულ კვლევას, მეორენი თვითონ ატარებენ გათხრებს და საკუთარი ხელებით მოიპოვებენ მასალას. ბატონი ვეკუა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი გათხრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს პალეონტოლოგიური ძეგლი, რომლის კვლევაშიც ბატონი აბესალომს არ მიეღოს მონაწილეობა. დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდის თითქმის ყველა ნაშთი მისი ხელითაა აღმოცენებული.

ბატონი აბესალომის საოცარი ორგანიზებულია და საქმისადმი ფანატიკური ერთგულება მისაბამია ახალგაზრდა მკვლევართათვის. უამრავი ადამიანის სახელით ვუსურვებ ბატონ აბესალომს დიდი ხნის სიცოცხლეს და წარმატებებს, ხოლო ქართულ მეცნიერებას, რომ ბატონი აბესალომი ისეთი ერთგული მსახურები, როგორიც ბატონი აბესალომ ვეკუა.


კალიფორნია არნოლდ შვარცნაბარიტ უკაყოფილოა

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები კალიფორნიაში შტატის გუბერნატორი უკაყოფილონი არიან. მისი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციის უფროსად არატრადიციული ორიენტაციის დემოკრატი დანიშნა. რესპუბლიკელების აზრით მსახიობი მელ გიბსონი შვარცნეგერის საუკეთესო შემცველი იქნება.

"ჩვენ უნდა ვიპოვოთ ალტერნატივა, რადგან შვარცნეგერს ეტყობა, რომ პოლიეფდში დაბრუნება სურს." განაცხადა რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტმა კალიფორნიაში მაიკლ სპენსმა.

არნოლდ შვარცნეგერის განცხადებით, ის აპირებს 2006 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, თუმცა ასევე შემოთავაზება აქვს პოლიეფდიდან ("ტერმინატორი 4").

მაიკლ სპენსმა გახსნა საიტო, რომელშიც საშუალებითაც სურს დაარწმუნოს მსახიობი მელ გიბსონი, რომ კენ-იყაროს 2006 წლის გუბერნატორ-



ის არჩევნებში. მსახიობს ამის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ცნობილია, რომ მას არასდროს გამოუტყვამს სურვილი პოლიტიკაში წასულიყო. სპენსის აზრით მსახიობმა ფილმით "ქრისტეს ვნებანი" დაამტკიცა, რომ საზოგადოების მართლად შეუძლია.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

აცხადებს კონკურსს

საუკეთესო ავტორის გამოსავლენად 2005 წელს კინოს დარგში გამომძვავებული სტატიებისთვის

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 7 სტატიისა 2005 წლის 20 დეკემბრამდე

გამარჯვებული ავტორისთვის დაწესებული ჯილდო შეადგენს 500 ლარს

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984202
E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

თბილისის ი. ავაჭავაძის სახელობის

23-ე საშუალო სკოლა

აცხადებს კონკურსს

სკოლის ინფორმაციული მენეჯერის პაპასნიასა

(ერთი სამუშაო ერთეული)

კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

უმაღლესი განათლება;
ინგლისური ენის ცოდნა;
ორგანიზაციული ნიჭი;
პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
საკომუნიკაციო უნარჩვევები;
კომპიუტერულ პროგრამებზე (Word, Excel, Linux) მუშაობის გამოცდილება;

კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

CV;

განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
მოტივაციის წერილი;
თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კანცელარიაში ა. წ. 22 დეკემბრამდე.
მისამართი: უზნაძის ქ. №59, 23-ე სკოლა, I სართული, ოთახი №101.
ტელ: 95 07 42.

როგორ შეიძლება ქორმა ინდაურები

მალორ სტარაა

საქ. არა. აპ. 37

ნოემბრის ბოლოს მთელი ამერიკა მადლიერების დღეს აღნიშნავდა. ზეიმისას ტრადიციულ სუფრას სულელი და ძვირადღირებული ფრინველის - ინდაურის ხორცი ამშვენებდა. ასე იყო ოდი-თიანეთი და ასე იყო დღეს. ატლანტიკიდან წყნარ ოკეანამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე მილიონობით ინდაური დაიკლა. თავის გადარჩენა მხოლოდ ორმა მოახერხა, მხოლოდ ორმა შეძლო ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე ღვთის მადლიერ ამერიკელთა კუჭ-ნაწლავში არ დაესრულებინა. მარშმელოუს და იამს გაუმართალთა, თუმცა ორივე შესანიშნავად ნაკეები (40 ფუნტამდე წონის) და მოვლილი გახლდათ.

მარშმელოუს და იამი ინდაურთა ნაციონალური ფედერაციის სიამაყე იყვნენ. ამიტომ ფედერაციის წარმომადგენელმა პრიუს ფრიდრიხმა ისინი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს უსახსოვრა. ჩუქების აქტი თეთრი სახლის მეზობლად მდებარე შერონში შედგა. ცერემონიალს ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი და მცირეწლოვანი მონაფეხები დაესწრნენ (ეს უკანასკნელი ანტურაფისთვის).

თუმცა, პრეზიდენტს მხოლოდ მარშმელოუს გადასცეს. იამი კი, ასე ვთქვათ, "თადარიგში მოთამაშეს" როლში აღმოჩნდა. "იამი აქვეა, მანქანაში, რომელიც თეთრი სახლის სამხრეთ მხარეს დგას," - ამცნო შერეობილს პრეზიდენტმა. ახალი და თანაც მაღალჩინოსანი პატრონის მოლოდინში მყოფი მარშმელოუს უშწევდა ავარი-თხალდა, ხოლო მას შემდეგ, რაც დაამშვიდეს, პრეზიდენტმა თავზე ხელი გადაუსვა და მონაფეხისაც



იგივე ქმედებისკენ მოუწოდა. ბავშვები დამოირჩილნენ.

თავად პრეზიდენტმა კი, ტრადიციისამებრ, საზეიმოდ განაცხადა, რომ ღვთისგან და ხალხი-სგან მიანიჭებული ძალაუფლებით, ის სწყალობს მარშმელოუსა და იამს. ამიტომ ისინი არ დაამშვენებენ თეთრი სახლის სუფრას, მათ არ გაუშვებენ, არ შენევენ, არც სანებელს მოსახამენ, არა ინდაურებს კალიფორნიის დისნეილენდში გაავგზავნიან.

ეს ორმაგი მოწყალება გახლდათ და აი, რატომ. აქამდე საზოგადოებისგან განკვეთილ ინდაურ-

ებს ფრანგ პენ პარკში ათავსებდნენ, სადაც ყველასგან მიტოვებული ფრინველები ნელ-ნელა სულს ლაფავდნენ. ახლა კი აფარ-თხალეულ მარშმელოუსთი ხელ-დამშვენებულმა ბუშმა განაცხადა: "წელს ყველაფერი შეიცვლება. მარშმელოუს და იამმა ფრანგ პენ პარკი სექტაკურად შევასწავს, რაშიც არ ვადაზნაულებ. ისინი დისნეილენდში გაფრინდებიან!" ("ფრანგ პენი" ინგლისურად ტყუას ნიშნავს).

შენაწილების ცერემონიალის დროს სუპერქორი ჩეინი დემონსტრაციულად განზე იჯდა, ის არც

მარშმელოუსა და არც ბავშვებს მოჰფერებია, რადგან აშკარად უკმაყოფილო იყო. როგორც ჩანს, ერაყის ომის არქიტექტორის ალგ-ზნებულ ტვიზში უწყინარი ფრინველები ტერიორისტებად მოიაზრებოდნენ. ბუშის დემოკრატიულმა გადაწყვეტილებამ კი მას ნერვები მოუშალა.

მრავალი წლის განმავლობაში "ცხოველებისადმი ეთიკურად მოპყრობის" ასოციაციის წევრები ამერიკელი პრეზიდენტებს ინდაურების "გადასახლებაზე" უარის თქმას სთხოვდნენ. ამიტომ მარშმელოუსა და იანის დისნეილენ-

დური ვოიაჟი მათ თავის გამარჯვებად მიიჩნიეს, მაგრამ ინდაურების ნაციონალურმა საზოგადოებამ განაცხადა, რომ ეს არა ასოციაციის, არამედ მისი დამსახურება იყო. "მსოფლიო მასშტაბის ლიდერისთვის უაზრობა იქნებოდა ინდაურთა საფაროდ შეწყალება, მერე კი მათი სასიკვდილო გამეტება," - განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა. იგივე დაადასტურა ფედერაციის ლობისტმა ჯოელ ბრანდებერგერმა, რომლის მოვალეობაშიც უარყოფილ ინდაურებზე ზრუნვა შედიოდა: "თუ ცხოველთა უფლებების დამცველები ფიქრობენ, რომ ეს მათი დამსახურებაა, არა მხოლოდ ცდებიან, რეზოლუცი კიდევაც". მისივე თქმით, 50 წლისთავის აღმნიშვნელმა დისნეილენდმა შეწყალებული ფრინველების გადაცემა ბუშს თავად სთხოვა.

მოკლედ, ცერემონიალის შემდეგ ფრინველები კენედის სახელობის აეროპორტში გადაიყვანეს. იქიდან კი ლოს ანჯელესის მამართულებით კომპანია "იუნაითედ ეარლაინსის" თვითმფრინავს დაამგზავრეს. მარშმელოუს და იამმა კომფორტულად, პირველი კლასით იმოგზაურეს!

24 ნოემბერს ეს ინდაურები დისნეილენდური ალბუმის გრანდმარშლებად იქცნენ. ალბუმის მერე ისინი ორ ატრაქციონს შორის არსებულ შემოღობილ ტერიტორიაზე დაასახლეს.

მონყალე პრეზიდენტი ბუში ცერემონიალის შემდეგ არა კენედის, არამედ ენდრიუს სამხედრო-საპერო ბაზის აეროპორტში გაემგზავრა, სადაცაც საპრეზიდენტო ლაიწერით გეზი ტესასური რანჩოსკენ აიღო. აქ პრეზიდენტი სადღესასწაულო არადადგება ატარებს...

24 ნოემბერსვე პენტაგონმა ერაყში დაღუპული 2090-ე სამხედრო პირის შესახებ გამოაცხადა...



ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟერებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფესულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო ფასდაკლებას (25% - 50%) "წონაში კლების და გაჯანსაღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი:	ი.ჭავჭავაძის 78
ტელ:	22 56 26
	23 56 26
E-mail:	info@nautilus.ge
	reception@nautilus.ge
Web-site:	www.nautilus.ge



ყურადღება!

დაპირებული საერთო!

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევთ 0,5 ლ ღვინოს (რქანითელი) უფასოდ. გვირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207